

**შპს „აისი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1807297	1857166	1491406	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	271172	383291	47004	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	19424	55718	16557	3.3
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	4223	5539	1040	
მ.შ. - მზა პროდუქცია		5539		
- სხვა	4223		1040	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	308490	328106	623242	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	270	631	7406	
ძირითადი საშუალებები	5069407	3739883	3267165	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	2766	2766	2766	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	7483049	6373100	5456586	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	10014	7815		
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	16806	13482	3509	3.5
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2240	1710	11160	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	440			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	26138	31939	33524	
სულ ვალდებულებები	55638	54946	48193	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	100	100	100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	7427310	6318054	5408293	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	7427410	6318154	5408393	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7483048	6373100	5456586	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2410606	2629820	2179249	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	29500	40662	48193	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2023 წ.

დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "აისი"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	3355712	2808785	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	3355712	2808785	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	3355712	2808785	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-284663	-212407	
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	-687598	-554414	
საპროცენტო შემოსავალი	22342	24846	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-172064	-111507	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-661907	-516369	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1783890	-1369851	
საოპერაციო მოგება	1571822	1438934	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-348170	-213072	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15624	-155023	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1239276	1070839	
მოგების გადასახადის ხარჯი	-5670	-1146	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1233606	1069693	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1233606	1069693	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6318154	5408393	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-124210	-63158	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-140	-96774	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7427410	6318154	3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2023 წ.

დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "აისი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2303034	1590225
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1994762	-998357
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-118000	-60000
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	190272	531868
სავალუტო კურსის ეფექტი	-240141	-166108
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1857166	1491406
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1807297	1857166

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2023 წ.

დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აისი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2010 წლის 19 ივლისს საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ; მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404867701, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი ოდესის ქ. N 30. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2011 წლის 5 მაისს.

1.2. კომპანიის ერთადერთი პარტნიორი - 100%-იანი წილის მფლობელია ვაჟა სიხარულიძე (პ.ნ.01024001622).

1.3. კომპანიის დირექტორია ვაჟა სიხარულიძე (პ.ნ. 01024001622).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტომობილების (ნებისმიერი სახის) ყიდვა-გაყიდვა, დაქირავება-გაქირავება. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში) და კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 21 კაცს.

1.6. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს მეკავშირე საწარმო, რომელშიც ფლობს 50% წილს. საანგარიშგებო პერიოდში, ასევე წინა პერიოდებში, მეკავშირე საწარმოს მოგება არ ჰქონია.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016

წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს-ის დებულებები.

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები,

რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები, კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობით
ლარი საბანკო ანგარიშებზე	34339	180598	1782
ლარი საბანკო დეპოზიტი	200000	200000	200000
საბანკო ტერმინალი	4696	2793	0
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	103510	170861	262305
ევრო საბანკო ანგარიშებზე	1464721	1302876	1027278
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	30	39	41
სულ:	1807297	1857166	1491406

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს კომერციულ ერთ ბანკში, კერძოდ სს „თიბისი ბანკში“.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაყიდვიდან	263880	373762	47004
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7292	9529	
სულ:	271172	383291	47004

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო მოთხოვნები არის გადაუხდელი მოთხოვნები საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 12 დებიტორი და მოკლევადიანი მოთხოვნები სამი კომპანიის წინაშე 31.12.2021 წ. მდგომარეობით.

3.3 ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	10522	2501	16359
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8902	53217	199
სულ:	19424	55718	16557

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები შედგება რეზიდენტი იურიდიული პირისთვის, კერძოდ, ავტომანქანის სადაზღვევო თანხების ნაწილისა და არარეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი თანხებისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობით
ოფისის აღჭურვილობა	699	0	205	904	-1656	-2512	48
კომპიუტერები და აღჭურვილობა	2107	1254	440	1292	165	-702	425
ავეჯი და სხვა ინვენტარი	7983	4157	3405	7231	3411	4098	7918
სატრანსპორტო საშუალებები	5058619	1986704.93	658333.25	3730247	1014727	542733	3258253
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	0	0	208	209	-93	219	521
სულ:	5069408	1992116	662591	3739883	1016554	543836	3267166

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2022 წლის ბოლოს - 3525003 ლარი;

2021 წლის ბოლოს - 2862413 ლარი;

3.5. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021	ნაშთი 01.01.2021
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	16473	13443	1646
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	334	39	1863
დავალიანება საიჯარო მომსახურებიდან	10014	7815	
სულ:	26820	13482	3509

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 16 რეზიდენტი მიმწოდებლის, რომელშიც შედის საიჯარო ვალდებულებაც, და 1 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.6 ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2021 მდგომარეობით
ვალდებულება საწარმოს პერსონალის წინაშე	1094	1094	10726
საპენსიო შენატანების გადახდის ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	1146	616	434
სულ:	2240	1710	11160

3.7. ნეტო ამონაგები

	2022 წელი	2021 წელი
მომსახურების რეალიზაცია	3355712	2808785
სულ:	3355712	2808785

2022 წლის ამონაგები მთლიანად შედგება გაყდული საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებიდან (დღგ-ის გარეშე) - 3355712 ლარი.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი:

(გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2022 წელი	2021 წელი
რეკლამის ხარჯები	(2 610)	(18 040)
ინფრომაციული ხარჯები	(166 765)	(193 712)
კომპიუტერის ხარჯები	(1 062)	(33)
კომუნიკაციის ხარჯები	(7 076)	(7 121)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(16 675)	(15 591)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(111 492)	(57 391)
საწვავის ხარჯები	(82 405)	(27 996)
საგადასახადო ხარჯები	(44 038)	(35 035)
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	(114 389)	(14 017)
საბანკო ხარჯები	(48 699)	(43 283)
საკონსულტაციო ხარჯები	(17 800)	(10 839)
სხვა ხარჯები	(48 896)	(93 312)
სულ:	-661907	-516369

3.9. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	100	100	100
გაუნაწილებელი მოგება	7427310	6318054	5408293
სულ:	7427410	6318154	5408393

კომპანიას 2022 წელს გაცემული აქვს დივიდენდი. შესაბამისად, წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც დაბეგვრის „ესტონური მოდელის“ მიხედვითა და 15% განაკვეთის გათვალისწინებით, დარიცხულია ფაქტობრივად განაწილებულ მოგებაზე.

3.10. სასამართლო დავები

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2022 წელს კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი, მეკავშირე საწარმო) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 28 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: I GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1807297	1857166	1491406	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	271172	383291	47004	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	19424	55718	16557	3.3
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	4223	5539	1040	
მ.შ. - მზა პროდუქცია		5539		
- სხვა	4223		1040	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	308490	328106	623242	
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	270	631	7406	
ძირითადი საშუალებები	5069407	3739883	3267165	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	2766	2766	2766	
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	7483049	6373100	5456586	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	10014	7815		
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	16806	13482	3509	3.5
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2240	1710	11150	
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი	440			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები				
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	26138	31939	33524	
სულ ვალდებულებები	55638	54946	48193	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	100	100	100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	7427310	6318054	5408293	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	7427410	6318154	5408393	3.9
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7483048	6373100	5456586	
სულ მოკლევადიანი აქტივები	2410606	2629820	2179249	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	29500	40662	48193	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2023 წ.

დირექტორი

ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2022	2021	
ნეტო ამონაგები	3355712	2808785	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	3355712	2808785	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება			
საერთო მოგება	3355712	2808785	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-284663	-212407	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-687598	-554414	
საპროცენტო შემოსავალი	22342	24846	
საპროცენტო ხარჯი			
იჯარის ხარჯი	-172064	-111507	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-661907	-516369	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-1783890	-1369851	
საოპერაციო მოგება	1571822	1438934	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-348170	-213072	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	15624	-155023	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	1239276	1070839	
მოგების გადასახადის ხარჯი	-5670	-1146	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	1233606	1069693	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	1233606	1069693	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	6318154	5408393	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-124210	-63158	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-140	-96774	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7427410	6318154	3.9

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2023 წ.

დირექტორი

ვ. სიხარულიძე

ვაჟა სიხარულიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "აისი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2022	2021
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2303034	1590225
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-1994762	-998357
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-118000	-60000
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	190272	531868
სავალუტო კურსის ეფექტი	-240141	-166108
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	1857166	1491406
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1807297	1857166

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 28.09.2023 წ.

დირექტორი _____

ვ. სიხელიძე



ვაჟა სიხარულიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.